

**შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფინანსური
ანგარიშგება**

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-სრული შემოსავლის და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2023	2022
ამონაგები	შენ.#1	2 998 247	2 720 629
რეალიზებული პროდუქციის			
თვითღირებულება	შენ.#2	(1 212 809)	(836 159)
საერთო მოგება	შენ.#3	1 785 438	1 884 470
ადმინისტრაციული ხარჯები	შენ.#4	(306 093)	(300 728)
ძირითადი ხარჯები	შენ.#5	(873 077)	(883 512)
საოპერაციო მოგება		606 268	700 230
არასაოპერაციო შემოსავალი	შენ.#6	10 999	15 788
არასაოპერაციო ხარჯი	შენ.#7	-	(33 705)
მოგება დაბეგვრამდე		617 267	682 313
მოგების გადასახადის ხარჯი		(57 438)	(92 879)
მიმდინარე წლის მოგება	შენ.#8	559 829	589 434
გაუნაწილებელი მოგება წლის			
დასაწყისში		1 169 488	1 106 371
დოვიდენდები		(315 789)	(526 317)
გაუნაწილებელი მოგება წლის			
ბოლოს	შენ.#9	1 413 528	1 169 488

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

		2023	2022
აქტივები			
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები	შენ.#10	634 707	447 750
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენ.#11	120 064	50 428
სასაქონლო მატერიალური ფასეულობა	შენ.#12	109 867	311 382
გაცემული ავანსები და სხვა		30 000	-
		894 638	809 560
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	შენ.#13	704 260	449 282
სულ გრძელვადიანი აქტივები		704 260	449 282
სულ აქტივები		1 598 898	1 258 842
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	შენ.#14	170 822	71 821
საგადასახადო ვალდებულება	შენ.#15	11 977	16 617
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		2 386	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	შენ.#16	185	916
		185 370	89 354
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	შენ.#17	1 413 528	1 169 488
		1 413 528	1 169 488
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		1 598 898	1 258 842

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“-ს ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის.

	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	2 895 323	2 772 849
გაწეული ხარჯები	(2 866 934)	(2 683 574)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	158 568	(134 081)
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	186 957	(44 806)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის	447 750	492 556
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის	634 707	447 750
	შენ. #18	

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამედიცინო დიაგნოსტიკური ლაბორატორია ემდილაბი“(ს/ნ 412732798) დაფუძნებულია 2017 წლის 4 დეკემბერს საქართველოში, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჯანდაცვის სხვა საქმიანობები, ლაბორატორიული პროცესების მართვა - ბიოქიმია, იმუნოლოგია, სეროლოგია, საერთო კლინიკური კვლევები. ამ საქმიანობებზე გააჩნია ISO სერტიფიკატი ნომერი 203361/A/0001/UK/Ge 30 აგვისტო 2019 წელი. დარეგისტრირებულია იურიდიულ მისამართზე ქ.ქუთაისი, დ.აღმაშენებლის გამზირი #8, ბინა 8. კომპანიის 100%-იანი დამფუძნებელია:

- მედეა ავალიანი (პ/ნ-60001064200) - საქართველოს მოქალაქე

კომპანია ბუღალტრული აღრიცხვისათვის იყენებს ბუღალტრულ პროგრამას „ორისი“. კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რიცხოვნობა შეადგენს 32 კაცს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთაფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს სტანდარტი) საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში.

3. საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. ყველა ოპერაციები ნაწარმოებებია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

4. სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

4.1 ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

(ა) საწარმო მიყიდვებს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

(ბ) საწარმო არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;

(გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება;

(დ) მოსალოდნელია, რომ საწარმო მიიღებს მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს; და

(ე) შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებით უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება .

4.2 ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია სალაროსა და საბანკო დაწესებულებაში ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში.

4.3 მარაგები

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

4.4 სავაჭრო მოთხოვნები.

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

4.5 ძირითადი საშუალებები.

ძირითადი საშუალებები ბალანსში ასახულია შეძენის ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის და გაუფასურების ზარალის თანხით. ცვეთის თანხა გამოანგარიშებულია წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია ინდივიდუალურად და იგი მერყეობს 10-დან 12 წლამდე. სააღრიცხვო ჯგუფების მიხედვით ცვეთის ნორმა შეადგენს:

1. სამედიცინო (ანალიზატორული) აპარატურა 10-12

2. კომპიუტერული ტექნიკა 10

3. სამედიცინო და სხვა ავეჯი 15-20

4. ელექტრონული და სხვა მოწყობილობა 10-15

4.6 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 10-15 პროცენტი.

4.7 სავაჭრო ვალდებულებები:

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან სარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

4.8 იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში საწარმოს მიერ მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში

4.9 დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში). საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოებისარადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

4.10 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით. საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი

სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

5. საქმიანობის შედეგები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

5.1. ნეტო ამონაგები

#	დასახელება	2023	2022
1	მომსახურების გაწევა	2 998 247	2 720 629
	სულ ამონაგები:	2 998 247	2 720 629

მომსახურების გაწევა მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქმიანობიდან, რეალიზაციიდან ამონაგებს, რომელიც შეადგენს 2998247 ლარს. სულ 2023 წლის ამონაგებმა შეადგინა 2998247 ლარი. (შენიშვნა #1)

#	დასახელება	2023	2022
1	საწყისი პროდუქციის მარაგები	311 382	168 379
2	მარაგების შესყიდვა	1 020 482	979 162
3	გადამუშავების დანახარჯი	1 221 997	836 159
4	საბოლოო მარაგები	109 867	311 382

საწყისი მარაგები 311382 ლარი მოიცავს მხოლოდ ძირითადი საქმიანობასთან დაკავშირებულ ნაშთს, შესყიდული მარაგები არის 1020482 ლარი, დანახარჯი ძირითად მომსახურობაზე არის 1212809 ლარი, სხვა გასავალი 9188 ლარი და საბოლოოდ წლის ბოლოსთვის მარაგების ნაშთმა შეადგინა 109867 ლარი. (შენიშვნა #2)

#	დასახელება	2023	2022
1	სულ ამონაგები	2 998 247	2 720 629
2	მომსახურების თვითღირებულება	1 212 809	836 159
3	საერთო მოგება	1 785 438	1 884 470

სულ ამონაგებმა შეადგინა 2998247 ლარი. მომსახურების თვითღირებულებამ 1212809 ლარი, ხოლო საერთო მოგებამ შესაბამისად შეადგინა 1785438 ლარი. (შენიშვნა #3)

#	დასახელება	2023	2022
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	230 921	235 727
2	საპენსიო დანარიცხი	817	921
3	საკომუნიკაციო	1 631	1 499
4	საკონსულტაციო	8 000	14 000
5	კომუნალური	21 782	20 159
6	დაცვა	1 680	1 378
7	დაზღვევა	11 321	10 950
8	სერტიფიცირება	4 284	4 602
9	მივლინება	1 800	1 277

10	სხვა საოპერაციო ხარჯი (საკანცელარიო, ბანკის და ა.შ)	23 857	10 215
11	სულ საოპერაციო ხარჯი	306 093	300 728

მთლიანმა ადმინისტრაციულმა ხარჯმა წლის განმავლობაში შეადგინა 306093 ლარი. (შენიშვნა #4)

#	დასახელება	2023	2022
1	დასაქმებულთა ანაზღაურება	700 848	712 567
2	საპენსიო დანარიცხი	3 066	2 567
3	საიჯარო ქირა	54 375	52 500
4	ცვეთა და ამორტიზაცია	103 590	63 388
5	სამედიცინო მომსახურება	10 030	47 490
6	სხვა	1 168	-
7	სულ საოპერაციო ხარჯი	873 077	883 512

ამრიგად 2023 წელს მთლიანმა ძირითადმა დანახარჯმა ჯამში შეადგინა 873077 ლარი.(შენიშვნა #5)

#	დასახელება	2023	2022
1	არასაპერაციო შემოსავლები	10 999	15 788
2	არასაოპერაციო ხარჯები	0	(33 705)
3	სულ არასაპერაციო შემოსავლები/ხარჯები	10 999	(17 917)

არასაპერაციო შემოსავლებში ასახულია სამედიცინო მომსახურების სხვა შემოსავლები, რომელიც შეადგენს 10 999 ლარს, სულ არასაოპერაციო შემოსავლები/ხარჯების ჯამია 10999 ლარი. (შენიშვნა #6-7)

#	დასახელება	2023	2022
1	მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	617 267	682 313
2	მოგების გადასახადი	(57 438)	(92 879)
3	მოგება/(ზარალი)	559 829	589 434
4	მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	559 829	589 434

მთლიანი შემოსავლების და დანახარჯების შეპირისპირებისას მიღებული იქნა მოგება 617267 ლარი, რომელსაც გააკლდება მოგების გადასახადის ხარჯი 57438 ლარი და დარჩება წმინდა მოგების სახით 559829 ლარი, რომელიც საბოლოო ჯამში გადატანილი იქნა 2023 წლის გაუნაწილებელ მოგებაში. (შენიშვნა #8)

#	დასახელება	2023	2022
1	საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	1 169 488	1 106 371
2	სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	559 829	589 434
3	კაპიტალის სხვა ცვლილებები	(315 789)	(526 317)
4	საკუთარი კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს	1 413 528	1 169 488

საკუთარი კატალი წლის დასაწყისში იყო 1169488 ლარი, გაიზარდა მოგების ხარჯზე 559829 ლარით, შემცირდა დივიდენდების გაცემის ხარჯზე 315789 ლარით და 2022 წლის ბოლოსათვის შეადგინა 1413528 ლარი.(შენიშვნა #9)

5.2 ფინანსური მდგომარეობა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2023	2022
1	ფული სალაროში ლარში	10 918	2 482
2	ფული საბანკო ანგარიშებზე რეზიდენტ ბანკებში ლარში	623 789	445 268
3	სულ ფულადი საშუალებები და მათი ექვივალენტები	634 707	447 750

ფული და ფულის ელვივალენტები კომპანიაში განთავსებულია საბანკო დაწესებულებებში, სალარო მეურნეობაში და ფული გზაში. კომპანიას გახსნილი აქვს საბანკო ანგარიშები, როგორც ეროვნულ ვალუტაში ისე უცხოურ ვალუტაში. 2023 წელს უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები არ განხორციელებულა, ხოლო ეროვნულ ვალუტაში ახორციელებდა საბანკო ტრანზაქციებს მუდმივად. წლის დასაწყისში ნაშთი ფული და ფულის ექვივალენტებზე იყო 447750 ლარი, წლის განმავლობაში ცვლილების შედეგად ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 634707 ლარი.(შენიშვნა #10)

სავაჭრო მოთხოვნები წლის დასაწყისისთვის იყო 50041 ლარი, წლის განმავლობაში დაერიცხა მოთხოვნები 3028722 ლარის, ჩაირიცხა მოთხოვნების დასაფარავად და სხვა გასავალი 2928698 ლარი და დარჩა მისაღები 120064 ლარი. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს განხორციელდა საექვო მოთხოვნებზე ანარიცხების შექმნა და კორექტირების შეტანა აღარ გახდა საჭირო.(შენიშვნა #11)

მარაგები კომპანიაში მოიცავს სამედიცინო კომპონენტებს. წლის დასაწყისისათვის ნაშთი 311382 ლარი მთლიანად არის სამედიცინო კომპონენტებზე ნაშთი, წლის განმავლობაში შემოვიდა სულ 1020482 ლარის მარაგი, წლის განმავლობაში მთლიანად გავიდა 1221997 ლარის მარაგი და ნაშთმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 109867 ლარი.(შენიშვნა #12)

დასახელება	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი	იჯარით აღებული კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31.12.2022	369 645	28 326	41 193	6 266	449 282
შემოსვლა	378 290	20 100	2 730	-	397 248
ცვეთა	(89 221)	(8 289)	(5 125)	(955)	(103 590)
გასვლა	(38 700)	-	-	-	(38 700)
ნაშთი 31.12.2023	620 014	40 137	38 798	5 311	704 240

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ძირითადად სამედიცინო აპარატურით და ყოველწლიურად ხდება განახლება. სულ ძირითად საშუალებებზე ნაშთი წლის დასაწყისისთვის იყო 449282 ლარი, წლის განმავლობაში შემოსულია 397248 ლარის, ცვეთამ ჯამურად შეადგინა 103590 ლარი, გავიდა 38700 ლარის და 2023 წლის ბოლოსათვის ნაშთმა გრძელვადიან აქტივებზე შეადგინა 704240 ლარი.(შენიშვნა #13)

საეჭრო ვალდებულებები წლის დასაწყისში იყო 71821 ლარი, ხოლო წლის ბოლოსათვის შეადგინა 170822 ლარი.(შენიშვნა #14)

ვალდებულებები საგადასახადოს მიმართ წლის დასაწყისში იყო 16617 ლარი და წლის ბოლოსათვის დარჩა 11977 ლარი.(შენიშვნა #15)

სხვა მოკლევადიან ვალდებულებებზე წლის დასაწყისში ნაშთი იყო 916 ლარი, წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 185 ლარი. (შენიშვნა #16)

გაუნაწილებელი მოგების ნაშთი წლის დასაწყისში იყო 1169588 ლარი, წლის განმავლობაში დაემატა მოგების სახით 559829 ლარი, გაიცა დივიდენდები 315789 ლარის და წლის ბოლოსათვის ნაშთმა შეადგინა 1413528 ლარი. (შენიშვნა #17)

5.3 ფულადი სახსრების მოძრაობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

#	დასახელება	2023	2022
1	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	28 389	89 275
2	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	158 568	(134 081)
2	წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	186 957	(44 806)
3	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	447 750	492 556
4	ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	634 707	447 750

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში იყო 447750 ლარი. წლის განმავლობაში ჯამურად საოპერაციო საქმიანობიდან არის ზრდა 28389 ლარი, ხოლო საინვესტიციო საქმიანობიდან 158568 ლარი, შედეგად წმინდა ზრდა ფულის ეკვივალენტებში შეადგენს 186957 ლარს. ფულის და ფულის ეკვივალენტებმა წლის ბოლოსათვის შეადგინა 634707 ლარი.(შენიშვნა #18)

დირექტორი:

მედეა ავალიანი